# ბაკურიანი იწვევს 1998 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს!



ადრე ამაზე მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა. ეს ადრე, დღეს კი, დღეს გვინდა სიამაყის გრძნობით გაუწყოთ, რომ რეალობასთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, ბაკურიანში ამ დღეებში ჩამოვიდნენ საკავშირო სპორტსახკომის სპეციალისტთა საგანგებო ჯგუფის წევრები, რომლებმაც უნდა შეიმუშაონ კონკრეტული წინადადება ბაკურიანში 1998 წლის თეთრი ოლიმპიადის ჩატარების თაობაზე.

კომისიის წევრებმა თავდაპირველად მტკიცე უარი განაცხადეს ჟურნალისტებთან საუბარზე. ეს იყო თბილისში მოსკოვიდან ჩამოსვლისას. ბაკურიანის დათვალიერების შემდეგ კი აღარ დაუმალავთ თავიანთი აღტაცება და ასევე მტკიცედ განაცხადეს, რომ ბაკურიანი ჭეშმარიტად უნიკალური ადგილია და ყოველმხრივ იმსახურებს, უმასპინძლოს ზამთრის ოლიმპიადას. ოღონდ ეგაა, უდიდესი სამუშაოები იქნება ჩასატარებელი.

მაშ ასე, პირველი ნაბიჯი გადაიდგა. ბაკურიანში 1998 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების საკითხი მთელი სერიოზულობით დგება დღის წესრიგში. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 მარტი, ხუთშაბათი, 1989 წ.
№ 43 (9962) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## მინიფეხბურთის დიდი დღესასწაული

MINI FOOTBALL INTERNATIONAL FESTIVAL

**თბილისის** საერთაშორისო ფესტივალი მინიფეხბურთში დიდ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულებში — ღონისძიების სპორტულ-კულტურული პროგრამა, თვით შეჯიბრების ორგანიზაცია, მაყურებლის დაინტერესება (შეგახსენებთ, რომ მატჩებზე დასასწრები ბილეთებით ყოველდღიურად გათამაშდება საგზურები ფესტივალში მონაწილე უცხოეთის ქვეყნებში უფასოდ სამოგზაუროდ). ასპარეზობაში გამოდიან დამმობილებული ქალაქების გუნდები ზაარბრიუკენიდან, ბილბაოდან, სოფიიდან, ლიუბლიანადან, პოზნანიდან, ინსბრუკიდან, კიევიდან, მოსკოვიდან, ბაქოდან, ერევნიდან, სოხუმიდან, ბათუმიდან და თბილისიდან.

**გთავაზობთ წილისყრით ქვეჯგუფების შემადგენლობას და შეხვედრების გრაფიკს (შეჯიბრება ჩატარდება თბილისის სპორტის სასახლეში)**

**I ჯგუფი**
1. კიევი
2. ზაარბრიუკენი
3. ბილბაო
4. თბილისი

**II ჯგუფი**
1. სოფია
2. ლიუბლიანა
3. ბათუმი

**III ჯგუფი**
1. პოზნანი
2. მოსკოვი
3. ერევანი

**IV ჯგუფი**
1. ინსბრუკი
2. ბაქო
3. სოხუმი

**I ტური — 5 მარტი**

17.00 — სოხუმი — ბაქო
18.00 — ერევანი — პოზნანი
19.00 — შეჯიბრების საზეიმო გახსნა
19.15 — თბილისი — ზაარბრიუკენი

**II ტური — 6 მარტი**

17.00 — ბაქო — ინსბრუკი
18.00 — ბათუმი — ლიუბლიანა
19.00 — ბილბაო — ზაარბრიუკენი
20.00 — კიევი — თბილისი

**III ტური — 7 მარტი**

17.00 — კიევი — ზაარბრიუკენი
18.00 — პოზნანი — მოსკოვი
19.00 — სოფია — ლიუბლიანა
20.00 — ბილბაო — თბილისი

**IV ტური — 8 მარტი**

15.00 მოსკოვი — ერევანი
16.00 კიევი — ბილბაო
17.00 ინსბრუკი — სოხუმი
18.00 ბათუმი — სოფია

**9 და 10 მარტს ჩატარდება მეოთხედფინალური და ნახევარფინალური მატჩები. 11 მარტს გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი და პრიზიორები.**



## დღეს გუდაურში იწყება ქალთა შორის სამთოსათხილამურო სპორტში ევროპის თასის გათამაშების ეტაპი!

## ცელქცაიკა - მკითხველი

**კარლსრუე.** მძლეოსანთა „გრანპრის" ევროპის სერიის ტურნირში (დახურულ დარბაზში) ბრაზილიელმა რობსონ და სილვამ 300 მეტრზე რბენაში მსოფლიოს მიღწევა 0,32 წამით გააუმჯობესა და აჩვენა 32,19.

**ბაზელი.** ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინაში მოეწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური შეხვედრების კენჭისყრა (ქალთა გუნდებისთვის). კიევის „სპარტაკი" ამ ეტაპზე რუმინეთის „მურეშულს" შეხვდება. მეორე ნახევარფინალში უნგრეთის „დებრეცენი" ავსტრიის „ჰიპობანკთან" ითამაშებს.

## შაშის ფედერაციის პლენუმი

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა რესპუბლიკის შაშის ფედერაციის პლენუმი.

პლენუმმა საქართველოს შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **თენგიზ ურუშაძე**. თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან **ზაქრო ქიტუაშვილი** და **ხერგო თომაშვილი**, პასუხისმგებელ მდივნად **ვლადიმერ ინწკირველი**.

## პრობლემა

ნუ დავუტოვებთ ადამიანებს ეჭვს, ამომწურავი პასუხი გავცეთ მათ ყველა შეკითხვას და გულისტკივილს. ამ საქმეში ერთსულოვნება ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. თანამშრომლობის შესანიშნავ მაგალითს იძლევა საქართველოს მწერალთა კავშირი და პირადად მისი მდივანი, ბატონი გურამ ფანჯიკიძე. გთავაზობთ წერილს, რომელიც მწერალმა ჩვენს რედაქციას გამოუგზავნა.

**ბატონო რედაქტორო!**

მივიღე დიღმის მასივის მცხოვრებლების ძალზე დამაფიქრებელი წერილი. უმორჩილესად გთხოვთ, გამოაქვეყნოთ იგი თქვენი გაზეთის ფურცლებზე. ვფიქრობ, წერილში წამოჭრილი პრობლემა იმსახურებს საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას.

პატივისცემით, **გურამ ფანჯიკიძე.**

**ბატონო გურამ!**

ამ წერილს გწერთ დედების ერთი ჯგუფი. გთხოვთ როგორც მწერალს, საზოგადო მოღვაწეს, მწერალთა კავშირის მდივანს, აღმაშენებლის საზოგადოების თავმჯდომარეს და, რაც მთავარია, მამულიშვილსა და ახალგაზრდობის მომავლისა და ქომაგს, მოისმინოთ ჩვენი სატკივარი. იქნებ გაგიკვირდეთ, თქვენ რომ გიგზავნით ამ ბარათს და არა იმათ, ვისაც ჩვენი საქმე უშუალოდ ეხება. თქვენზე სწორედ იმიტომ შევაჩერეთ არჩევანი, რომ იმედი გვაქვს ნამდვილად დაგვეხმარებით.

ახლა ჩვენს გასაჭირზე მოგახსენებთ. დიღმის მასივში (III კვარტალი) არის საცურაო აუზი. იგი მდებარეობს 147-ე საშუალო სკოლის გვერდით. იქ მრავალი ცურვის მოყვარული დადის, რა თქმა უნდა, უმეტესობა ბავშვებია. მათ შორის არიან ჩვენი შვილებიც. აბონემენტი თვეში ღირს 6 მანეთი, ბავშვებს ამ აბონემენტით შეუძლიათ კვირაში სამჯერ, თითო საათი იცურაონ.

ამ დღეებში გამოგვიცხადეს, კოოპერატიული საცურაო აუზი უნდა გავხსნათ, აბონემენტების ფასი კი, სულ ცოტა 15 მანეთი იქნებაო. წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავვარდით. ზოგიერთი ოჯახიდან ორი ბავშვიც კი დადის, მათი მშობლებიც (განსაკუთრებით ახალგაზრდები) სიამოვნებით ცურაობენ. ასე რომ, ოჯახიდან 3-4 ადამიანი იკაჟებს ჯანმრთელობას. ახალი ნიხრით მათ მოუწევთ 45-60 მანეთის გადახდა თვეში. ეს არის ბავშვებისთვის, ხალხისთვის ზრუნვა? ნუთუ კოოპერატივები ხალხის საზიანოდ უნდა იხსნებოდეს? ვფიქრობთ, სპორტულ კოოპერატივებში მომსახურება უნდა იყოს მისაწვდომ ფასებში, ეს ხომ არ არის კვების კოოპერატივები, სადაც პატიოსანი კაცი ვერ ისადილებს. კვება კიდევ არაფერი, შინაც იოლად გავალთ, მაგრამ საკუთარი აუზები საიდან მოვიტანოთ? და, საერთოდ, ბატონო გურამ! რატომ იქცა მოდად სახელმწიფო სპორტული ბაზების კოოპერატორებზე გადაცემა (ჩოგბურთის კორტები ძვირადღირებულ კოოპერატივებად აქციეს). განა შეიძლება ასე? მთელ მასივში ეს არის ერთადერთი აუზი. საწარმოო გაერთიანება „მიონსაც“ აქვს საცურაო აუზი, იგი ამჟამად დაკეტილია, თანაც მასივიდან შორსაა და, როგორც ხმები დადის, თურმე, იქაც კოოპერატივს ხსნიან. ჩვენი აუზი თითქმის მასივის ცენტრშია, ზამთარ-ზაფხულ ყველასათვის მოსახერხებელია მისასვლელად, მუშაობს დილის 6 საათიდან და მოსწავლეებისთვისაც და მოსამსახურეებისთვისაც ხელსაყრელია.

დიდი ბოდიში შეწუხებისათვის. ვიცით, რომ ძალიან დატვირთული ბრძანდებით, უამრავი საზოგადოებრივი საქმე გაქვთ, მაგრამ გევედრებით, ჩვენთვისაც გამონახეთ დრო, გვიშუამდგომლეთ. თქვენი ავტორიტეტის იმედი გვაქვს. დიღმის მასივი და აუზიც ეკუთვნის პირველი მაისის რაიონს.

გწერთ თქვენი პატივისმცემელი და მოიმედე მშობლები.

### კომენტარი

**როგორც** ხედავთ, წერილს კონკრეტული პიროვნებები არ აწერენ ხელს. მიუხედავად ამისა, ეს ბარათი არც მწერალმა გადადო გვერდზე და ვერც ჩვენ დავტოვებდით რეაგირების გარეშე, მით უმეტეს, რომ სპორტულ კოოპერატივებთან დაკავშირებით ბევრი ჭორ-მართალი ირევა ერთმანეთში. ვფიქრობთ, ამ წერილისა და კომენტარის გამოქვეყნება იმათაც დააინტერესებთ, ვისაც სპორტულ კოოპერატივებთან დაკავშირებული საკითხები აწუხებთ. გთავაზობთ მშობლების განცხადებაზე პირველი მაისის სასკოლათაშორისო საცურაო აუზის დირექტორის ოთარ ურუშაძის კომენტარს. აი, რა გვითხრა ო. ურუშაძემ.

— მშობლების შეშფოთება უსაფუძვლოა. მართალია, არსებული წესის დაცვით აუზი გარკვეულ საათებში გადავეცით მოიჯარადეებს (კოოპერატივს), მაგრამ არავის განუცხადებია ოფიციალურად, რომ ბავშვებმა 15 მანეთი უნდა გადაიხადონ. კოოპერატივის დებულებით 15 მანეთს გადაიხდიან მხოლოდ მოზრდილები და ამ თანხაში ცურვის გარდა, შედის სხვადასხვა ფასიანი მომსახურება. ბავშვებზე აბონემენტის ღირებულება ძველებურად რჩება 6 მანეთი, ამასთან მეცადინეობა გაგრძელდება არა 45 წუთს, როგორც ადრე იყო, არამედ ერთ ასტრონომიულ საათს. ამას დაუმატეთ ის, რომ ბავშვები უფასოდ ისარგებლებენ ტრენაჟორებით და სპორტული დარბაზით, ბავშვებზე აბონემენტის ფასის მომატება ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული და ამას არც დავუშვებთ.

რაც შეეხება მოზრდილებს, იქაც კი, 15 მანეთი ყველასათვის როდია დადგენილი, გათვალისწინებული იქნება მომეცადინის შესაძლებლობა (ვთქვათ, სტუდენტისა და ა. შ.). გარდა ამისა, ვინც უარს იტყვის დამატებით მომსახურებაზე, გადახდება მხოლოდ ცურვის საფასური. კოოპერატივს ჩვენი მხრიდან ადრევე წავუყენეთ წინადადება იმის თაობაზე, რომ ოჯახებისთვის (თუ ბავშვებთან ერთად სამეცადინოდ ივლიან ოჯახის უფროსი წევრები) დააწესონ შეღავათიანი გადასახადი.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენთან საბავშვო აუზი ჯერ საერთოდ არ მუშაობს (მიმდინარეობს რემონტი) და კარგა ხანია მეცადინეობები არ ტარდება. სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ არც ერთ მშობელს საბავშვო აბონემენტზე 6 მანეთზე მეტი არ გადაუხდია და არც გადაიხდის.

**რ ე დ ა ქ ც ი ი ს  პ ო ზ ი ც ი ა:** უმოქმედო სასკოლო საცურაო აუზების კოოპერატორებზე გადაცემა თავის დროზე „ლელოს“ თაოსნობა იყო. ახლა ეს სიახლე სასკოლათაშორისო აუზებზეც ინერგება. ამაში ცუდი არაფერია, რადგან იგი ხელს უწყობს ბაზების უკეთ გამოყენებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ კოოპერატორებმა მომსახურებაზე ფასების დადების უფლება ბოროტად გამოიყენონ, მიიღონ ის, რაც არ ერგებათ. ამ მხრივ სერიოზული პრეტენზიები აქვს მოსახლეობას, ბევრი პრობლემა გადაჭრას მოითხოვს.

გუშინ ჩვენ საგანგებოდ ვეწვიეთ პირველი მაისის რაიონის სასკოლათაშორისო საცურაო აუზს, დაბეჯითებით ვიტყვით: დღეს ეს აუზი (საბავშვო აბაზანის გარდა) ისე გამართულად მუშაობს, როგორც არასდროს. შესანიშნავია წყალიც, რადგან დაიდგა გაწმენდის სრულიად ახალი, ორიგინალური სისტემა. დანარჩენზე უკვე ითქვა ო. ურუშაძის კომენტარში.

რაც შეეხება „მიონის“ აუზს, როგორც ამ აუზის დირექტორმა ირაკლი კონჩილავამ გვითხრა, ბაზას მიაკითხეს კოოპერატორებმა და მოითხოვეს მათთვის გადაცემა, რაზედაც უარი მიიღეს. ეგ კია, ექვს თვეზე მეტია ამ აუზის რემონტი ჭიანურდება.

სასკოლო ფიზკულტურა

# თავის მართლებას პრობლემების გადაჭრის გზების ძიება სჯობს

ასეთ მკაცრ, უხვთოვლიან ზამთარს ძნელად იხსენებენ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებლები. მაგრამ ყველგან ასე როდია. აბაშაში თოვლის საფარი უმნიშვნელო იყო. აქ უმეტესად წვიმდა.

ზამთარი მაინც ზამთარია. მას ყოველმხრივ მომზადებული უნდა შევხვდეთ. ზამთრისთვის სამზადისი გონიერმა ხელმძღვანელმა ზაფხულიდანვე უნდა დაიწყოს. მერე კი, როგორც იტყვიან, გვიანია თითზე კბენანი.

აბაშაში 26 საშუალო და არასრული საშუალო სკოლაა. არის დაწყებითი, სკოლამდელი დაწესებულებები, სპორტული სკოლა და სხვ. ბევრგან ჩინებულად მოემზადნენ ზამთრისთვის და შესანიშნავი პირობები აქვთ როგორც საკლასო ოთახებში, ისე სპორტულ დარბაზებში, მაგრამ არის კურიოზული ფაქტებიც, რომელთა ანალიზმა სკოლის ხელმძღვანელები უნდა დააფიქროს.

ქალაქის ცენტრში წლების წინათ სპორტული დარბაზი აშენდა. ცხადია, დღეს მისი პროექტი არავის მოეწონება, თუმცა იგი იმთავითვე არ ყოფილა მომხიბვლელი. თავად სპორტული დარბაზი სტანდარტულია — 24X12, მაგრამ არა აქვს გასახდელი, საშხაპეები, აქვს ოთხი ვიწრო სათავსო. მშენებლებს თურმე ასასვლელი კიბე გამორჩენიათ და შემდეგ ოთახების ხარჯზე დაუკიდიათ სის ვერტიკალური კიბე, რომელსაც დღესაც იყენებენ. არადა, არის შესაძლებლობა კიბე გარედან მიეშენოს და ეს პრობლემა გადაწყდეს.

ამ სპორტდარბაზს განათლების განყოფილების სპორტსკოლაც (დირექტორი ვაჟა ლიპარტიანი) იყენებს. სპორტულ სკოლაში 497 ბავშვია. სპორტდარბაზით კლასიკური ჭიდაობის და მაგიდის ჩოგბურთის სექციათა წევრები სარგებლობენ.

— ხანდახან აქ ველოსპორტის ჯგუფების ბავშვებიც მოდიან, მაგრამ რა უნდა იღონონ, როცა სულ 7 ველოსიპედი აქვთ და ისიც — უვარგისი. — გვითხრა სპორტსკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ტოლია გაბელაიამ.

სპორტდარბაზში ჯგუფების მუშაობისათვის ელემენტარული პირობები არ არის. დარბაზში წვიმს, კარ-ფანჯრები დამპალია, მინები — ჩამსხვრეული. კედელი შესაღები, იატაკი, გამოსაცვლელია.

ჩვენდა გასაკვირად იმ დღეს გათბობა იყო, მაგრამ მაინც ციოდა. ან რა გაათბობდა, როცა დარბაზი ფარღალალაა.

ახლა ამ ფონზე უაზროდ და ირონიულად გამოიყურება ლოზუნგი: „სპორტი ძალის, სიმხნევის და სილამაზის წყაროა“!

აბაშის მეორე საშუალო სკოლის მასწავლებელმა მაყვალა კარტოზიამ შემოგვჩივლა, ორი შვილი მყავს, კარგი მონაცემები აქვთ კალათბურთსა და მხატვრულ ტანვარჯიშში. გული მტკივა, რომ ვერ ვავარჯიშებ, საამისო პირობები ჩვენს რაიონში არ არის. არ ვიცი როდემდე გაგრძელდება ასეო.

სპორტსკოლაში და განათლების განყოფილებაში გვითხრეს, ახალ, ტიპიურ სპორტულ დარბაზს ვაშენებთო. იქნებ მაშინ მაინც დაკმაყოფილდეს მრავალი მშობლის სურვილი. ერთი კი ყველამ კარგად უნდა იცოდეს: ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობის მოლოდინში ძველი არ უნდა გავაპარტახოთ. ძველ დარბაზში რამდენიმე წელია რემონტი არ ჩატარებულა.

ზამთარმა ფიზკულტურის გაკვეთილის ჩატარებას ხელი არ უნდა შეუშალოს. საგვაზაოს არასრულ საშუალო სკოლაში კი გაკვეთილი ტარდება ავარიულ სპორტულ დარბაზში, რომელიც არ თბება. მინები ჩამსხვრეულია. იატაკი თურმე 1976 წელს, როცა დარბაზი ააშენეს, მაშინვე დალპა, ახლა... ასფალტი დაუგიათ, მაგრამ არც ის ვარგა. გვჯერა, რომ ადვილი არ არის ყველა საკითხის დადებითად გადაწყვეტა, მაგრამ ვალდებული ვართ მოსწავლე ახალგაზრდობას მინიმალური პირობები მაინც შევუქმნათ. ბავშვებმა რა დააშავეს?

უფრო საგანგაშო ფაქტია აბაშისპირის არასრულ საშუალო სკოლაში, რომელიც ტიპიურ შენობაშია მოთავსებული. ეტყობა, თავის დროზე სპორტდარბაზი კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ რამდენიმე წელი იქ წვიმა ჩადიოდა თურმე. სულ ახლახან გადაუხურავთ, თუმცა, უმინო ფანჯრებიდან წვიმის წყალი მაინც შემოდის. დიდი ხანია არ თბება, კედლები ჩაშავებულა, იატაკი დამპალა და გასახდელებსა და საშხაპეებში ანტისანიტარიაა გამეფებული.

— ასეთ პირობებში გაკვეთილს როგორ ატარებთ? — ვეკითხებით ფიზკულტურის მასწავლებელს გიორგი ბარკალაიას.

— რა ვქნათ, — გვპასუხობს იგი, — ჩვენი ბრალი არ არის, არავინ გვეხმარება. არავის აინტერესებს ფიზკულტურის სწავლება სკოლაში. წინათ მე თვითონ ვაკეთებდი ყველაფერს, ახლა კი მეტი აღარ შემიძლია. ვისაც ევალება, იმან გააკეთოს. სხვა რა გზაა, ზამთარში ისევ ამ დარბაზში ვატარებთ გაკვეთილს, გაზაფხულზე კი ღია მოედნებზე გავალთ.

ღია მოედნებიც დავათვალიერეთ. იქაც კურიოზული ფაქტებია: კალათბურთის ფარებს რგოლები არა აქვთ, ფრენბურთის ხის ძელები დამპალია და ერთმანეთისაკენ გადახრილან, არ არის სახტომი ორმოები, სარბენი ბილიკები, ინვენტარი ძველი აქვთ, ზოგი კი სულ არ გააჩნიათ.

მალე გაზაფხულიც მოვა, მაგრამ ფიზკულტურის გაკვეთილს გარეთაც ვერ ჩაატარებენ ისე, როგორც საჭიროა.

ბევრი რამ სკოლის დირექციამ და განათლების განყოფილებამ უნდა მოაგვაროს, მაგრამ არც ფიზკულტურის მასწავლებელი უნდა დაელოდოს სხვის წყალობას. გიორგი ბარკალიას 48 წლის მუშაობის გამოცდილება აქვს. დიდი სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი და ფრიად დაფასებული კაცია რაიონში. ჰოდა, ახალგაზრდა სპეციალისტები მხარში რომ ამოუდგნენ, ბევრი საკითხი მოგვარდებოდა.

განათლების განყოფილებაში საქმის ვითარების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ სკოლების რემონტისთვის გამოყოფილი სახსრები მცირეა. დეფიციტია საშენი მასალაც. მთელს რაიონში არ იშოვება მინა და სხვ. მიუხედავად ამისა, გამოსავალი მაინც უნდა გამოინახოს, მომავალი წლის ზამთარსაც ასე ხომ არ შეხვდებიან?!

**ნუგზარ ჟვანია,**
„ლელოს“ საკ. კორ.
აბაშა.







### ბალავერი

პატარა თეთრი ბურთი აქეთ-იქით დაფრინავს., მწვრთნელი კონსტანტინე ბაირამაშვილი შეგირდებს დროდადრო შენიშვნებს აძლევს. შეგირდები გულდასმით უსმენენ ოსტატს. ასეა ყოველდღე, მაგიდის ჩოგბურთის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკურ სპორტსკოლაში (დირექტორი როზა ბერიკაშვილი), სადაც 350 მოზარდი ეუფლება ამ აღმოსავლური თამაშის საიდუმლოებას.

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

პასუხი „ლელოს“ — ქმედითობა

# „როდის გაირღვევა ჯადოსნური წრე“

ხობის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა „ლელოს“ 1988 წლის 24 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი „როდის გაირღვევა ჯადოსნური წრე?“ და წერილში მოყვანილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმა დასახა რაიონის სპორტული კომპლექსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გასამტკიცებლად. მიღებულია პროგრამა რაიონის სპორტული კომპლექსების მაქსიმალურად დატვირთვისათვის, რითაც მკვეთრად გაუმჯობესდება მათი ფინანსური მდგომარეობა..

**ლ. ბუკია,**
ხობის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# ფართო ასპარეზი რეზერვს

თბილისი. კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სახლი. 28 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 81:102 (43:50).

„დინამო“: შენგელია (25), თორთლაძე (20), ტიუბინი (16), დარსაძე (11), კოლიჩევი (3), კროპაჩოვი (3), სანაძე (2), ტალაბაძე (1), უხტიაშვილი, ფერიაშვილი, კორძაძე.

„ჟალგირისი“: კურტინაიტისი (29) ვისოცკასი (24), ბრაზისი (18), ლეკარაუსკასი (12), ეინიკისი (7), ბრაზდაუსკასი (6), კრაპიკასი (2), ბუბლისი (2), იაკუბაუსკასი (2), პიატრავიჩუსი.

მსაჯები: მ. ვაინკოპი (მოსკოვი) და ო. გორბატოვი (კუიბიშევი).

„ჟალგირისი“ ზედიზედ ორ მატჩს თბილისში არ დათმობდა. ეს იმთავითვე იყო ცნობილი. მაგრამ მეორე შეხვედრის დაწყების წინ რაღაც იმედი გულის სიღრმეში მაინც ბჟუტავდა.

პირველი ტაიმის მეთხუთმეტე წუთამდე საგანგაშო არაფერი ჩანდა. თამაში თანაბრად მიმდინარეობდა სტუმრების ოდნავი უპირატესობით, რომელსაც მათ სტარტზევე მიაღწიეს. მერე და მერე ინიციატივას „ჟალგირისი“ დაეუფლა. ერთი მონაკვეთი ტაიმის მიწურულში მასპინძლებმა პირწმინდად წააგეს — 2:10 და ამან გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის პირველი ნახევრის ბედი — 43:50.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა „ჟალგირისის“ საბოლოო გამარჯვებას. საჭირო იყო უპირატესობის სტაბილიზაცია გარკვეული



ხნით და შემდეგ მისი გაღრმავება. ამ ამოცანის გადაწყვეტაში ლიტველ კალათბურთელებს დაეხმარნენ... დინამოელები.

ამ ფაქტის ახსნა წინა დღის მატჩის მაგალითზე იოლია. „დინამომ“ პირველ გამარჯვებას დიდი ფიზიკური და ნერვული ენერგია შეალია, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე „ჟალგირისმა“. მეორე დღეს ჩვენს გუნდს არა მარტო სიმსუბუქე, არამედ ხალისიც აკლდა. სწორედ ამის გამო „დინამოში“ ფუნქციათა თავისებური გადანაწილება მოხდა და გუშინდელი ლიდერები, მოულოდნელად, ჩრდილში მოექცნენ. კოლიჩევმა, მაგალითად, განმეორებით შეხვედრაში თავის კოლექტივს მხოლოდ 3 ქულა შესძინა, კროპაჩოვმა კი ორი. ამ მხრივ ბედნიერი გამონაკლისი იყო შენგელია — გუნდის საუკეთესო სნაიპერი (25 ქულა).

დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა „ჟალგირისიც“ (ცხადია, კურტინაიტისის გამოკლებით), მაგრამ ლიტველთა ძალა სწორედ რეზერვი გახლავთ, ახალგაზრდა კალათბურთელები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ტოლს არ უდებენ უფროს ამხანაგებს. ის, რისთვისაც იღვწის ჩვენი გუნდი, „ჟალგირისს“ დიდი ხანია ნორმად აქვს ქცეული. ძალთა გადაჯგუფებასა და კომპენსაციას იგი მყისვე, თამაშის პროცესშივე ახდენს.

ალბათ სწორი იყო „დინამოს“ ხელმძღვანელთა ნაბიჯი, როცა უკვე გადაწყვეტილი ბრძოლის ბედი ახალგაზრდებს ანდო. ამ მძიმე წუთებში საუკეთესო თვისებებით წარმოგვიდგა უდავოდ პერსპექტიული დებიუტანტი თორთლაძე (20 ქულა). არც სხვა ახალგაზრდებს დაუტოვებიათ ურიგო შთაბეჭდილება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ რეზერვი გამოჩნდა და ახლა მას ფართო ასპარეზი სჭირდება.

თბილისელთა ბოლო ორი მატჩის შედეგმა არც უნდა მოგვატყუოს და არც უნდა დაგვაფრთხოს. „ჟალგირისი“ მისაბაძი გუნდია და ვინაიდან დღეს ჩვენ შეგირდების როლში გამოვდივართ, უკეთეს მაგალითს, ცხადია, ვერც ვინატრებთ. ვისაც სწავლა სურს, სირთულეებს არ უნდა შეუშინდეს.

ნოდარ ბუჯუშვილი.

**მოსკოვი.** როგორც გვიუწყებოდით, ადგილობრივმა ცსკა-მ საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩი კიევის „სტროიტელთან“ წააგო — 79:97. განმეორებით შეხვედრაში მოსკოველმა კალათბურთელებმა რევანში აიღეს — 102:87 (57:51).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 მარტისთვის

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მ.) | 32 | 21 | 11 | 53 |
| ასკ (ალმა-ათა) | 30 | 20 | 10 | 50 |
| ცსკა | 27 | 19 | 8 | 46 |
| „კალევი“ (ტალ.) | 30 | 15 | 15 | 45 |
| „ჟალგ.“ (კაუნ.) | 22 | 20 | 2 | 42 |
| „დინამო“ (თბ.) | 30 | 11 | 19 | 41 |
| „სტროიტ.“ (კ.) | 22 | 18 | 4 | 40 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 26 | 12 | 14 | 38 |
| ვეფ (რიგა) | 31 | 4 | 27 | 35 |
| რტი (მინსკი) | 24 | 10 | 14 | 34 |
| „სპარტ.“ (ლენ.) | 28 | 6 | 22 | 34 |
| „შახტ.“ (დონ.) | 24 | 7 | 17 | 31 |

# პასუხი გულშემატკივრებს

**თბილისის** „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბის წევრებს გვაქვს თუ არა უფლება შევიძინოთ საფეხბურთო აბონემენტი, და რა უპირატესობა გვეძლევა? ამ შეკითხვით რედაქციას ახლა ხშირად მომართავენ გულშემატკივრები. ჩვენ დავუკავშირდით თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა კლუბის პასუხისმგებელ მდივანს ვ. ხუნდაძეს. აი რა თქა მან:

— პირველ ყოვლისა, აუცილებელია, კლუბის წევრები, ვინც ჩვენთან უკვე გაიარეს რეგისტრაცია და გადაიხადეს „დინამოს“ საფეხბურთო კლუბის წევრობის საერთო შესატანის 50 პროცენტი, გვეწვიონ კლუბში და მიიღონ ახალი წიგნაკები, რაც მათ უფლებას მისცემს შეღავათიან ფასებში „დინამოს“ სტადიონის სალაროში შეიძინონ საფეხბურთო აბონემენტი.

ახალი წიგნაკების მისაღებად გულშემატკივრებმა უნდა მოგვაკითხონ კლუბში 4 და 5 მარტს დილის 10 საათიდან 14 საათამდე.

# „სმენას“ პრიზზე

**გუშინ,** ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში — სამტრედიაში, ხობში, ცხაკაიასა და ვანში სტარტი აიღო ჟურნალ „სმენას“ საერთაშორისო ტურნირმა ფეხბურთში 1972-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. ქვეჯგუფებში პირველი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: **სსრ კავშირი — თურქეთი 1:0, ჩეხოსლოვაკია — პოლონეთი 1:1, საქართველო — უნგრეთი 3:1, რუმინეთი — ბულგარეთი 1:1.**

⊙ ფეხბურთი

# მსაჯთა რეესტრი

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციამ გამოაქვეყნა 1989 წლის საკავშირო ჩემპიონატის მარტის შეხვედრების მსაჯთა რეესტრი.

11 მარტის მატჩს თბილისისა და კიევის დინამოელთა შორის იმსაჯებს მოსკოველი არბიტრი **ხ. ჭუხაინოვი.** 18 მარტს თბილისის დინამოელები შინ მიიღებენ მოსკოვის „ლოკომოტივს“, ამ მატჩის არბიტრია **ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).**

ამის შემდეგ თბილისის „დინამო“ ორ მატჩს სტუმრად გამართავს. 26 მარტს დინამოელები ვოლგოგრადში შეხვდებიან „როტორს“, არბიტრია **მ. იოფე (მოსკოვი),** 30 მარტს თბილისის „დინამო“ მოსკოვში ითამაშებს „ტორპედოსთან“, მსაჯობს **ტ. ბეზუბიაკი (ლენინგრადი).**

მარტში ორ თამაშს იმსაჯებს თბილისელი არბიტრი გ. სეფიაშვილი: 18 მარტს „პამირი“ (დუშანბე) — „ტორპედო“ (მოსკოვი) და 30 მარტს „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი).

# დასახელების შეცვლით არაფერი იცვლება...

„წლევანდელი საფეხბურთო სეზონის გახსნის უფლება ენიჭება ახალი საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშებას!“ — ამგვარი პათეტიკური წამძღვარება აქვს უმაღლესი ლიგის კალენდარს ყოველკვირეულ გამოცემა „ფუტბოლ-ჰოკეიში“.

მაგრამ განა გამოცდილი გულშემატკივარი მოტყუვდება? და საქმე მარტო იმაში არაა, რომ თვით საფეხბურთო კავშირი ჯერ არ არსებობს. შეჯიბრებას კი მისი სახელი ჰქვია. ყველამ კარგად იცის, როგორ მიმდინარეობდა ამ შეჯიბრების პროტოტიპი — სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება. ზოგიერთმა ჩვენმა მწერალმა მას „მკვდრადშობილი“ უწოდა. ისიც ალბათ, იუმორისტული სფეროდანაა, რომ ფედერაციის თასის შარშანდელი გათამაშების ფინალში შეხვდნენ სწორედ ის გუნდები, რომლებიც... უმაღლეს ლიგას გამოეთიშნენ.

რა თქმა უნდა, უმაღლესი ლიგის გუნდების უმაღლესი ამოცანაა სსრ კავშირის ჩემპიონატი და საკავშირო თასი. აქ წარმატებით გამოსვლისთვის ყველაფერი კეთდება, მაგრამ ყოფილი საკავშირო ფედერაციისა და ახლანდელი საფეხბურთო კავშირის თასიც ხომ უმაღლესი ლიგის საკმაოდ პრესტიჟული შეჯიბრებაა, ამიტომაც მასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ჩვენი საუკეთესო გუნდები ამჟამად სამხრეთის ბაზებზე ვარჯიშობენ ან უცხოეთის ქვეყნებში იმყოფებიან და ამ დროს მათ ოფიციალური მატჩების ჩასატარებლად სტუმრობენ ვილნიუსსა და მინსკში, სადაც ახლა ყველაფერი შეიძლება... ფეხბურთის თამაშის გარდა. სწორედ ამიტომაც არ შედგა საფეხბურთო კავშირის თასის მატჩი ვილნიუსის „ჟალგირისსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის.

ამ, რბილად რომ ვთქვათ, შეუსაბამო ამბებზე მოგვითხრობს საქდესის კორესპონდენტის ა. პესკოვის წერილი. ა. პესკოვი იმასაც აღნიშნავს, რომ მოსკოვის „სპარტაკი“ ამჟამად სამხრეთ კორეაში იმყოფება, მას კი საფეხბურთო კავშირის თასის მატჩი ჰქონდა ჩასატარებელი მოსკოვის „ტორპედოსთან“. განა ტორპედოელთა გულშემატკივრებს სიამოვნება მოუტანა მათი გუნდის გამარჯვებამ „სპარტაკის“ ერთ-ერთ რომელიღაც სარეზერვო შემადგენლობასთან?

— მაგრამ ჩვენი კლუბების პრეტენზიები მარტო ამით არ ამოიწურება, — განაგრძობს ა. პესკოვი. — ახლა წინა პლანზე გამოდის ეკონომიკა, ყველაფერი უნდა დაანგარიშებულ იქნას გონივრულად, მომჭირნედ, აზრიანად, საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშებაში კი ეს სერიოზული მოტივი სადღაც უკანა პლანზეა მიჩქმალული. „დ“ ჯგუფში გაერთიანებული არიან „ჟალგირისი“ (ვილნიუსი), „დინამო“ (მინსკი), „დინამო“ (თბილისი) და „პამირი“ (დუშანბე). თვითმფრინავის ერთი ბილეთის ფასი ვილნიუსიდან დუშანბემდე დაახლოებით 70 მანეთი ღირს. დაუმატეთ ამას სასტუმროს ხარჯები, კვება, დღიური სამივლინებო თანხები და იოლად მიხვდებით, რა ფასიც დაუჯდებათ ვილნიუსელებს „პამირთან“ ერთი მატჩი. გაზაფხულის ცივ ამინდში იმდენი მაყურებელი ვერასოდეს მოვა სტადიონზე, რომ ასეთი ხარჯები აინაზღაუროს. მაშ არ ჯობდა რომ გუნდების გაერთიანება მომხდარიყო ტერიტორიული პრინციპით?

რაციონალური ვარიანტები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ სსრ კავშირის სპორტსახკომის ფეხბურთისა და ჰოკეის სამმართველო, ეტყობა ჯერჯერობით არ აპირებს უკეთესი გზა მოძებნოს ასეთი შეჯიბრებისთვის.

# ევროპის საკლუბო ტურნირებში

ფეხბურთში ევროპის საკლუბო თასების გათამაშების (უეფა-ს თასი) მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთის „ვიქტორია“ და დრეზდენის „დინამო“ (გდრ). ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

უეფა-ს თასზე გაიმართა კიდევ ორი მატჩი: „შტუტგარტი“ (გფრ) — „რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) 1:0, „ჰართი“ (ედინბურგი, შოტლანდია) — „ბაიერნი“ (მიუნხენი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) 1:0.

ევროპის საკლუბო თასების სხვა შეხვედრები გაიმართა გუშინ.

### კასაგრანდე აღარ ითამაშებს

მას შემდეგ, რაც მუხლის ორმა ოპერაციამ სათანადო შედეგი არ გამოიღო და ექიმები არც შემდეგისთვის იძლევიან გარკვეულ იმედს, ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კასაგრანდემ გადაწყვიტა მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ გამოეთხოვოს ფეხბურთს.

### საქართველოს თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში

# „მრავალფასნაგოვანი“ თასი

**დიახ,** თანამედროვე ხუთჭიდში საქართველოს თასის გათამაშება, რომელსაც თბილისის ბაზები მასპინძლობდა, ერთნიშნა არ იყო, რადგან იგი რესპუბლიკის მასშტაბს სცილდებოდა და შორს „ეჭირა თვალი“ — უკრაინის ქალაქ ლვოვისაკენ, სადაც ამ ზაფხულს გაიმართება IV საკავშირო ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ასპარეზობა ამ სახეობაში. პრიზისთვის გამართული ორთაბრძოლები ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის ჩვენი სპორტსმენების მზადების ერთ-ერთი ეტაპიც გახლდათ. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდულ თამაშებზე, 21 წლამდე ასაკის ხუთჭიდელები დაიშვებიან და, ამდენად, რესპუბლიკურმა ასპარეზობამ საუკეთესო ძალებს მოუყარა თავი. სარბიელზე არ გამოსულან მხოლოდ სეულის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვახტანგ იაგორაშვილი და რევაზ ლოხიშვილი, რომლებიც იმავე დღეებში კიევში, ზამთრის საკავშირო პირველობაში ასპარეზობდნენ.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, საკავშირო თამაშების ერთ-ერთი სირთულე ისიც გახლავთ, რომ აქ ერთდროულად ცალ-ცალკე ჩატარდება გუნდური და პირადი პირველობები. ადრე გუნდურ ასპარეზობას — ესტაფეტას — წინ უსწრებდა პირადი შეჯიბრება, რაც ორივე ტურნირში ერთი და იგივე სპორტსმენების გამოსვლის საშუალებას იძლეოდა. სხვა რესპუბლიკებისათვის, სადაც სპორტის ეს სახეობა მასობრიობითაც გამოირჩევა, ახალი რეგლამენტი შეიძლება უმტკივნეულო გამოდგეს, მაგრამ ჩვენ იგი დამატებით სიძნელეებს გვიქმნის, რადგან თანამედროვე ხუთჭიდი ჯერჯერობით მხოლოდ თბილისშია სათანადოდ დანერგილი. თუმცა, საქართველოს თასის გათამაშება იმითაც იყო საყურადღებო, რომ დედაქალაქის წარმომადგენელთა მხარდამხარ **გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ქუთაისის ხუთჭიდელებიც, სადაც პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებას სპორტის ამ სახეობის აღორძინება-განვითარება განუზრახავს.** უფრო საგულისხმო ის იყო, რომ რიონისპირელთა სპორტულ ღირსებას იცავდნენ ქალებიც — კლაჩკოვა, სტარეცკაია და სხვები. მათს სპორტულ ღირსებებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ, თუ ასეთივე ენთუზიაზმით გააგრძელებენ ვარჯიშს, უთუოდ მაღალ შედეგებსაც მიაღწევენ...

სტარტზე 40-ზე მეტი ხუთჭიდელი გამოვიდა. ესენი იყვნენ პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების, „დინამოს“ და ასკ-ის წარმომადგენლები.

პირველი დღის შემდეგ, როცა სარბიელი მოფარიკავეებს დაეთმო, ნათელი გახდა, რომ პირველობისთვის ბრძოლა სწორედ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატებს: დინამოელ ვლადიმერ ლორთქიფანიძეს, ნოდარ შამოიანს, ალექსეი ბელოუსოვს, აგრეთვე, არმიელ ვლადიმერ გალდავას, პროფკავშირელ ვიაჩესლავ მალიშევსა და ბორის კაცებინს შორის გაჩაღდებოდა.

საფარიკაო ბილიკზე ტოლი არავის დაუდო და გაიმარჯვა სპორტის ოსტატმა ნოდარ შამოიანმა, რომელმაც 1.031 ქულა დააგროვა. მაგრამ მისი პოზიცია მტკიცე არ აღმოჩნდა. მეორე სახეობაში შეჯიბრების შემდეგ საერთო ლიდერობა ხელთ იგდო ვიაჩესლავ მალიშევმა. მას ეს უპირატესობა ასპარეზობის ბოლომდე არ დაუთმია, ბოლო დღეს კი ცხენოსნურ კონკურში გაიმარჯვა (1.100 ქულა) და 5.732 ქულით თასი დაისაკუთრა.

მეორე ადგილზეა ნ. შამოიანი — 5.441, მესამეზე — არმიელი ვლადიმერ გალდავა — 5.352.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო „დინამო“-I — 15.875, მეორე — პროფკავშირთა I გუნდი — 15.846, მესამე — ასკ — 14.973.

ჟ. უნგიაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭაბუკებს არ ჩამორჩნენ

**ჩვენ** უკვე გაცნობეთ 1974-1976 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შედეგები საკავშირო პირველობისა, რომელსაც კრემენჩუგმა უმასპინძლა. ვილაპარაკეთ შეჯიბრების პრიზიორებზეც, ოღონდ მხოლოდ ჭაბუკთა გამოსვლაზე გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ იქნებ ჩვენი გოგოების მიღწევები უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებდეს, თუნდაც იმის გამო, რომ ადრე მათ, ჩვეულებრივ, გაცილებით მოკრძალებული შედეგები ჰქონდათ.

კრემენჩუგში გამართულ ასპარეზობაზე კი საქართველოს გოგონათა ნაკრების ორმა წევრმა დაიკავა პირველი ადგილი. მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც, სოფელ დიღმის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ნინო ქუცნიაშვილმა მძიმე წონაში შვიდივე შეხვედრა წმინდად მოიგო, რასაც ძირითადად ქართული ჭიდაობის ილეთების წყალობით მიაღწია.

6 მეტოქე დაამარცხა (სამი წმინდად) მისმა თანაგუნდელმა, თბილისის 186-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა ნინო მარჯანიშვილმა (75 კგ), რომელიც ასევე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

თბილისელმა ირმა მელიქიშვილმა (65 კგ) ოთხი ორთაბრძოლა მოიგო, ერთი წააგო და საბოლოოდ მესამე საპრიზო ადგილი ხვდა. იგი 124-ე საშუალო სკოლის VIII კლასში სწავლობს. სამივე გოგონა არმიის სპორტკლუბის წევრია და გოდერძი ველიჯანაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

**საქართველოს** ექვსმა წარგზავნილმა გამოიჩინა თავი არმიელთა სპორტკლუბების მოზარდ ძიუდოისტთა (1971-1974 წ.წ. დაბ.) საკავშირო პირველობაზე, რომელიც კიევში ჩატარდა. შეჯიბრების მეორე პრიზიორები გახდნენ ქეთინო ნატროშვილი (48 კგ) და ლუდმილა მხითაროვა (მძიმე წონა), მესამე ადგილზე გავიდნენ მარინე განჯელავა (45 კგ), თამარ ჩანტლაძე (52 კგ), ნინო მარჯანიშვილი და ქრისტინა ერანოსიანი (მძიმე წონა). გუნდურ პირველობაში ჩვენი სპორტსმენები მესამე ადგილზე აღმოჩნდნენ.



ნინო ქუცნიაშვილი



ნინო მარჯანიშვილი



ირმა მელიქიშვილი

ჯემალ კასრაძის ფოტოები.

# აუიტა მაინც გამოვა

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქიდან იტყობინებიან, რომ მაროკოელმა საიდ აუიტამ ბოლო მომენტში გადაწყვიტა მძლეოსანთა ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა. მაგრამ ჯერ ცნობილი არ არის პროგრამის რომელ სახეობას აირჩევს იგი — 1500 თუ 3000 მეტრზე რბენას.

როგორც ცნობილია, სეულის ოლიმპიადაზე აუიტა ორი დისტანციის მოგებას აპირებდა (800 და 1500 მ.), მაგრამ უდავო ფავორიტმა, საბოლოოდ მხოლოდ ერთი ბრინჯაოს ჯილდო დაისაკუთრა. სპეციალისტებმა ეს წარუმატებლობა მაშინ სპორტსმენის ტრავმით ახსნეს.

ტრავმა, როგორც ჩანს, უკვე მოშუშდა, მაგრამ აუიტა მაინც დიდხანს ყოყმანობდა და მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობა ბოლო მომენტში გადაწყვიტა.

# დასწრებით გაახალისეს

**ჭიდაობის** სპეციალიზებული სპორტსკოლების 100-მდე ფალავანი მონაწილეობდა თბილისის პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში (1973-1974 წ. წ. დაბ.). შეჯიბრება ორგანიზაციული თვალსაზრისით კარგად ჩატარდა, მაგრამ მთავარი იყო, რომ ცნობილმა მოჭიდავეებმა და მწვრთნელებმა არ დაიზარეს და შეჯიბრებაზე დასწრებით გაახალისეს ნორჩი მოჭიდავეები. მაგალითად, გამარჯვებულებს პრიზები და სიგელები გადასცეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა მიხეილ სალაძემ, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა აკაკი თავართქილაძემ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ახალგაზრდებს შორის თემურ ლეჟავამ, ქვეყნის ჩემპიონმა ბიჭიკო ჩიტიაშვილმა.

გაცნობებთ გამარჯვებულთა ვინაობას:

**39 კგ.** როლანდ მაჭარაშვილი („შრომითი რეზერვები“); **42.** შოთა ლალიაშვილი (განათლების სამმართველო); **45.** ჯამბულ ფუტკარაძე (სკოლა-ინტერნატი); **48.** გიორგი იორამაშვილი (პროფკავშირთა სპორტსკოლა); **52.** ერიკ ხაჩატუროვი („შრომითი რეზერვები“); **56.** ვასილ ჩოჩაშვილი; **60.** ილია ჯაფიაშვილი (ორივე — ინტერნატი); **64.** ზაზა ოქრომჭედლიშვილი; **69.** ვეფხია გოლუბიანი (ორივე — პროფკავშირთა სპორტსკოლა); **74.** ვლადიმერ გაგნიძე (ინტერნატი); **80.** ოთარ ბენდუქიძე (განათლების სამმართველო); **87.** ალექსანდრე მიქაუტაძე; **+87.** ბაკური გოგიტიძე (ორივე — პროფკავშირთა სპორტსკოლა).

საუკეთესო ტექნიკისათვის ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონის ავთანდილ ქორიძის სახელობის პრიზი გადაეცა ზაზა ოქრომჭედლიშვილს.

**ქეთევან თანდაშვილი.**



# 4 მარტს...

თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) ჩატარდება ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობის მორიგი მერვედფინალური შეხვედრები. მეტოქე წყვილებია: პატარძეული (საგარეჯოს რაიონი) — ერედვი (ცხინვალის რაიონი); რუსთავი — ვაყა (ხაშურის რაიონი).

დასაწყისი 14 საათზე.

**„სპორტპროგნოზი“**

**09 ტირაჟის შედეგები**
**(25-26 თებერვალი)**

1-1, 2-X, 3-1, 4-2, 5-1, 6-2, 7-1, 8-1, 9-2, 10-2, 11-X, 12-X, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. სსრკ საფეხბურთო კავშირის თასის გათამაშების დებულების თანახმად, ვოლგოგრადის „როტორსა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩებზე გამოუცხადებლობის გამო წაგება ჩაეთვალათ.

# იუნიორი მოზრდილთა შორის

**პარიზი.** აქ გაიმართა ცნობილი ფრანგი მოჭიდავის (კლასიკური სტილი) მორის პაკეტის ტრადიციული მემორიალი, რომელშიც სხვა ქვეყნების ათლეტებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის (პროფკავშირების სპორტსაზოგადოების ნაკრების) მოჭიდავეებმაც. პირველობა ჩვეულებისამებრ შვიდ წონაში გათამაშდა. აქედან სამი უმაღლესი ჯილდო ჩვენმა ათლეტემა დაისაკუთრეს.

გროდნოელმა შამსაიდ აბასოვმა (52 კგ) ფინალში ბულგარელი დან იანკოვი წმინდად დაამარცხა, ვოლგოგრადელმა სერგეი ზაბეივოროტამ (57 კგ) — ქულებით უნგრელი ტიბორ ვარგა. გომელელმა დიმიტრი გრომიკომ (82 კგ) წმინდად აჯობა ალჟირელ ლოტფი ტასმანს.

სპეციალისტებს განსაკუთრებით მოეწონათ ევროპის იუნიორთა ჩემპიონი დიმიტრი გრომიკო, რომელმაც მოზრდილთა ამ ტურნირში ყველა ორთაბრძოლა დროზე ადრე დაამთავრა.

მეორე ადგილი ხვდა სარანსკელ გენადი ატმაკინს (68 კგ), მესამე კი გროდნოელ ალექსანდრე შესტაკოვს (62 კგ).

**„სპორტპროგნოზი“ მე-11 ტირაჟის პროგრამა (11-12 მარტი)**

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 1. | „პამირი“ (დუშანბე) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 11.III | 60 | 30 | 10 |
| 2. | „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 11.III | 70 | 20 | 10 |
| 3. | „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „ტორპედო“ (მოსკოვი) | 11.III | 10 | 60 | 30 |
| 4. | „შახტიორი“ (დონეცკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 11.III | 30 | 60 | 10 |
| 5. | „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (მინსკი) | 11.III | 60 | 30 | 10 |
| 6. | „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) | 11.III | 10 | 60 | 30 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 7. | „კრილია სოვეტოვი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (რიგა) | 11.III | 60 | 10 | 30 |
| 8. | „სოკოლი“ (კიევი) — ცსკა | 11.III | 30 | 20 | 50 |
| 9. | „დინამო“ (მოსკოვი) — ასკ (ლენინგრადი) | 12.III | 80 | 10 | 10 |
| 10. | „ხიმიკი“ (ვოსკრესენსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 12.III | 70 | 20 | 10 |
| **გადასახვლელი ტურნირი შაიბიან ჰოკეიში (პირველი თამაშები)** | | | | | |
| 11. | „დინამო“ (ხარკოვი) — „ლადა“ (ტოლიატი) | 12.III | 70 | 20 | 10 |
| 12. | „ტორპედო“ (გორკი) — „კრისტალი“ (ელექტროსტალი) | 12.III | 60 | 20 | 20 |
| 13. | ურიცკის სახ. ასკ (ყაზანი) — „დინამო“ (მინსკი) | 12.III | 40 | 30 | 30 |

**იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში**



# ფინალში: ნიგერია-პორტუგალია

საუდის არაბეთში დასასრულს მიუახლოვდა 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი.

შეჯიბრება აშკარა სიურპრიზებით წარიმართა, ეტყობა, მოზრდილთა საერთაშორისო ფეხბურთის დაკანონებული ნორმები იუნიორთა გუნდებზე არ ვრცელდება. აქ ძალთა სხვაგვარი შეფარდებაა.

ნათქვამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ნიგერიისა და პორტუგალიის გუნდები, ხოლო ბრაზილიის, ესპანეთის, სსრ კავშირის, არგენტინის, ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა მარცხი იწვნიეს. პორტუგალიელებსა და ნიგერიელებს ფინალში არავინ ელოდა.

ნახევარფინალში უაღრესად მწვავე ბრძოლით აღინიშნა პორტუგალიისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრა. ბრაზილიელებმა მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს წინასწარ ჯგუფში მოპოვებული გამარჯვებებით, შემდეგ შეჯიბრებიდან გამოთიშეს არგენტინის გუნდიც, მაგრამ პორტუგალიის ნაკრებმა ნახევარფინალში გააქარწყლა ფეხბურთის მცოდნეთა და სპეციალისტთა ყველა პროგნოზი, პორტუგალიელებმა შესანიშნავი ურთიერთმოქმედებით და სწრაფი კონტრშეტევებით შეძლეს ბრაზილიის ნაკრების დაცვის რიგებში სრული აღრევის შეტანა, 69-ე წუთზე ბრაზილიელთა ერთ-ერთი მცველის მორიგი შეცდომა იმით დამთავრდა, რომ როდრიგესმა ზუსტი დარტყმით გაიტანა ბურთი — 1:0. ეს ერთადერთი გოლი პორტუგალიელთათვის საკმარისი აღმოჩნდა, მათ ფინალის საგზური გაინაღდეს.

თანაბარი ძალის მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს პარალელურ ნახევარფინალში, სადაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნიგერიის გუნდები თამაშობდნენ. მატჩის პირველ ნახევარს შედეგი არ მოჰყოლია — 0:0. შესვენების შემდეგ მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს, პირველად ეს 48-ე წუთზე გააკეთა ნიგერიელმა ადეპოჯუმ, მცირე ხანში კი სნოუმ გაქვითა ანგარიში — 1:1. დაინიშნა დამატებითი დრო და აქ ყველაფერი გადაწყვიტა მატჩის გმირის ადეპოჯუს მიერ 94-ე წუთზე გატანილმა გადამწყვეტმა ბურთმა — 2:1

ამრიგად, 21 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საუდის არაბეთის დედაქალაქ ერ-რიადში ერთმანეთს შეხვდებიან ფინალისტები: ნიგერიისა და პორტუგალიის გუნდები. მატჩი შედგება 3 მარტს.

## ინფორმაცია

**სევილია.** აქ გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე (დარბაზებისთვის) საბჭოთა ჭოკით მხტომელმა ს. ბუბკამ დასძლია 581 სმ. სიმაღლის თამასა.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრის უფროსი მასწავლებელი

**სერგო ვასილის ძე ჯიბლაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66685. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო [illegible], ხოშარაულის ქ. 29. უე 10377